სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“

#26 საერთო კრების მოწვევის შესახებ

გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის: საქართველო, თბილისი, გაგარინის ქ. #24) 2026 წლის 5 მარტის №22/2026 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და ასევე, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით

გადაწყდა:

მოწვეულ იქნეს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრება **2026 წლის 2 ნოემბერს, 13:00 საათზე, დისტანციურ ფორმატში.**

1. საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:

   — სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ 2026 წლის 20 აგვისტოს საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და #24/2026 ოქმის ცვლილება.

2. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს **2026 წლის 2 ნოემბერი,** გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
3. საერთო კრება ჩატარდება ონლაინ ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
4. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტები;
5. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე და სენბის ვებ-გვერდზე.

ირაკლი გალდავა
გენერალური დირექტორი

Irakli Galdava 01024051256
Digitally signed by Irakli Galdava
Date: 2026.11.02 11:27:51

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის “ (სენბი)
<u>რიგგარეშე</u> საერთო კრების ოქმი #26/2026 -სთვის

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტი

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის: საქართველო, თბილისი, გაგარინის ქ. #24) 2026 წლის 5 მარტის №22/2026 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის ნ) ქვეპუნქტის და ასევე, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ნ) ქვეპუნქტის გათვალისწინებით მოწვეულ იქნა რიგგარეშე საერთო კრება.

შესაძლო გადაწყვეტის დასაბუთება

საკითხი #1: სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ 2026 წლის 20 აგვისტოს საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და #24/2026 ოქმის ცვლილება.

ვინაიდან, სენბის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ფინანსური ვალდებულება, სავაჭრო პლატფორმის მომსახურების საფასურის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, სს “საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის” და შპს “საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის” მიერ წარმოდგენილ იქნა წინადადება, მოხდეს მათ მიერ შენატანის განხორციელებისთვის განსაზღვრული ვადის გადაწევა.